

შპს „ალტრეიდი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	356246	926072	349	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	868029	445475	656585	3.2
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	1140149	511490	522873	3.3
მ.შ. - მზა პროდუქცია - სხვა	1140149	511490	522873	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5277	1580	446	
სხვა არამატერიალური აქტივები	1949			
ძირითადი საშუალებები	61376	28107	9499	3.4
სულ აქტივები	2433026	1912724	1189752	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	864893	131854	76946	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	12054	1100		
საგადასახადო ვალდებულებები	22841	6083		
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	699218			3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
სხვა ვალდებულებები		470366		3.6
სულ ვალდებულებები	1599006	609403	76946	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)		462459	634400	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	834020	840862	478406	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	834020	1303321	1112806	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2433026	1912724	1189752	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2369701	1884617	1180253	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1599006	609403	76946	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 14.02.2022 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ნეტო ამონაგები	21286477	11577265
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	21286477	11577265
- მომსახურების გაწევიდან		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა ამონაგები		
გაყიდვების თვითღირებულება	-20373204	-10703624
საერთო მოგება	913273	873641
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-255002	-135130
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-9805	-2386
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-32004	
იჯარის ხარჯი	-36396	-26355
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-581706	-361688
სულ საოპერაციო ხარჯები	-914913	-525559
საოპერაციო მოგება	-1640	348082
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-4453	15821
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-749	-1447
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-6842	362456
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-6842	362456
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-6842	362456
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1303321	1112806
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-462459	-171941
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	834020	1303321

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 14.02.2022 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-2102985	647617
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-43074	-18311
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1575978	297818
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-570081	927124
სავალუტო კურსის ეფექტი	255	-1401
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	926072	349
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	356246	926072

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 14.02.2022 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ალტრეიდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404518606. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ვ. გორგასალის ქ., კორ. 2, ბ. 17, თუმცა მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის #50.

1.2. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01024011087, ლევან საკანდელიძე	33.3%
01012003318, თეიმურაზ თუთარაშვილი	33.4%
01012003319, ვასილ თუთარაშვილი	33.3%
სულ	100.00%

1.3. კომპანიის დირექტორია ლევან საკანდელიძე, (პ.ნ. 01024011087)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა შავი და ფერადი ლითონის ჯართით საბითუმო ვაჭრობა.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის მენეჯმენტის მიერ როგორც მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად, კომპანიამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინა საანგარიშო წლის წინა წლის (2018 წლის) შესადარისი ინფორმაცია და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	355993	925832	
ფული საბანკო ანგარიშებზე	253	240	349
სულ:	356246	926072	349

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	588241	397907	453555
გადახდილი ავანსები	42201	13313	483
მოთხოვნა თანამშრომელთა მიმართ	237586	34255	202547
სულ:	868029	445475	656585

3.3. მარაგები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
საქონელი	1140089	511423	522873
სხვა მარაგები	61	67	
სულ:	1140149	511490	522873

3.4. ძირითადი საშუალებები:

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	სხვა	სულ
1 იანვარი 2018	11,927			828	12,755
შეძენა		18,311	2,682		20,993
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2018	11,927	18,311	2,682	828	33,748
შეძენა	19,633	21,340	2,102		43,074.40
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2019	31,559	39,651	4,784	828	76,822
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2018	(2,703)			(552)	(3,255)
დარიცხვა	(2,385)				(2,385)
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2018	(5,089)	-	-	(552)	(5,641)
დარიცხვა	(3,053)	(6,152)	(601)		(9,805)
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2019	(8,142)	(6,152)	(601)	(552)	(15,446)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2018	9,223	-	-	276	9,499
31 დეკემბერი 2018	6,838	18,311	2,682	276	28,107
31 დეკემბერი 2019	23,418	33,499	4,183	276	61,376

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.5. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სესხი სხვა რეზიდენტი კომპანიისგან	699218		
სულ:	699218	0	0

3.6. სხვა ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ვალდებულებები საწარმოს პარტნიორების წინაშე		470366	
სულ:	0	470366	0

3.7. სასამართლო დავები

კომპანიას 2019 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.8. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.9. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები


2019 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	356246	926072	349	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	868029	445475	656585	3.2
ავანსებამ და სესხებამ გაცემული ფულადი სახსრები				
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	1140149	511490	522873	3.3
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	1140149	511490	522873	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5277	1580	446	
სხვა არამატერიალური აქტივები	1949			
ძირითადი საშუალებები	61376	28107	9499	3.4
სულ აქტივები	2433026	1912724	1189752	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	864893	131854	76946	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	12054	1100		
საგადასახადო ვალდებულებები	22841	6083		
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	699218			3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
სხვა ვალდებულებები		470366		3.6
სულ ვალდებულებები	1599006	609403	76946	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)		462459	634400	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	834020	840862	478406	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	834020	1303321	1112806	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2433026	1912724	1189752	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2369701	1884617	1180253	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1599006	609403	76946	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 14.02.2022 წ.


დირექტორი:  ლევან საკანდელიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ნეტო ამონაგები	21286477	11577265
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	21286477	11577265
- მომსახურების გაწევიდან		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა ამონაგები		
გაყიდვების თვითღირებულება	-20373204	-10703624
საერთო მოგება	913273	873641
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-255002	-135130
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-9805	-2386
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-32004	
იჯარის ხარჯი	-36396	-26355
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-581706	-361688
სულ საოპერაციო ხარჯები	-914913	-525559
საოპერაციო მოგება	-1640	348082
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-4453	15821
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-749	-1447
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-6842	362456
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-6842	362456
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-6842	362456
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1303321	1112806
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-462459	-171941
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	834020	1303321

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 14.02.2022 წ.

დირექტორი:  ლევან საკანდელიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-2102985	647617
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-43074	-18311
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1575978	297818
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-570081	927124
სავალუტო კურსის ეფექტი	255	-1401
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	926072	349
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	356246	926072

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 14.02.2022 წ.

დირექტორი:  ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.